EQUALITY MOVEMENT

“თანასწორობის მოძრაობის” 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

აღმასრულებელი დირექტორის წერილი

გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ გასული წელი საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიისთვის განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა. ანტიდემოკრატიული ჰომოფობიური, ცენზურის დამწესებელი საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც 2024 წელს „რუსულ კანონებად" იქცა, გვართმევს იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც რთულად და დიდი შრომის შედეგად მოვიპოვეთ.

2024 წლის აპრილსა და სექტემბერში ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები, რომლებიც გამჭვირვალობისა და ოჯახურ ღირებულებებს იყენებს ფარად, მთავარი ინსტრუმენტია ხელისუფლების ხელში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების საქმიანობის აკრძალვისა და საზოგადოების თვითმოქმედების განადგურებისთვის. ამ პროცესების პარალელურად, წინასაარჩევნო პერიოდი „ქართული ოცნების" მთავრობამ ტრადიციულად პოლიტიკური ჰომოფობიის რადიკალიზებისთვის გამოიყენა.

„თანასწორობის მოძრაობისთვის" მტრულ და გამოწვევებით სავსე გარემოში მუშაობა მოულოდნელობას არ წარმოადგენს, თუმცა ხელისუფლების მხრიდან ოპერატიულად ორგანიზებული რეპრესიული პოლიტიკა თვისებრივად სხვა გარემოს ქმნის არამხოლოდ ლგბტქ+ თემისთვის, ასევე თითოეული მოქალაქისა თუ ჯგუფისთვის, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, თანასწორობა და ზოგადად დემოკრატიული პროცესი წარმოადგენს მნიშვნელოვან ღირებულებას.

დამძიმებული ვითარების მიუხედავად, „თანასწორობის მოძრაობა" რჩება კავკასიის რეგიონში ყველაზე დიდ ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციად, რომლის სერვისებიც ფარავს საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქს. ამავდროულად, შეცვლილ რეალობაშიც ვახერხებთ, ისეთი პროცესის ინიციატორები ვიყოთ, რომელიც ლგბტქ+ ადამიანებისთვის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემოს უკეთესობისკენ გარდაქმნას ისახავს მიზნად.

შესაბამისად, უცვლელია ორგანიზაციის ოთხი მთავარი სამოქმედო მიზანი:

1. ლგბტქ+ საკითხების ადვოკატირებისა და თემის გაძლიერებისთვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირება;

2. ლგბტქ+ თემის წევრებისთვის ჯანდაცვის სერვისების მიწოდება და აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია;

3. ლგბტქ+ თემის წევრთა მობილიზაცია, პოლიტიკური გაძლიერება და ინტეგრაციის ხელშეწყობა;

4. „თანასწორობის მოძრაობის" ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარება და გაძლიერება

ამ მიზნების მისაღწევად, წლის განმავლობაში არაერთი აქტივობა დავგეგმეთ და განვახორციელეთ, სხვადასხვა სახის მომსახურებით დავეხმარეთ ლგბტქ+ თემის ათასობით წევრს და ვიზრუნეთ ჩვენი ორგანიზაციის ინსტიტუციური გაძლიერებისთვის, რისი საჭიროებაც წლევანდელმა რთულმა წელმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა.

„თანასწორობის მოძრაობის" 2024 წლის ანგარიშში ასახული მიღწევები შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი გუნდის, მრავალწლიანი და ახალი სტრატეგიული პარტნიორების და თემის წევრების ნდობისა და მხარდაჭერის გარეშე, რისთვისაც მადლობას გიხდით.

მიხეილ მეფარიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

სარჩევი

2024 წლის ერთიანი ორგანიზაციული სტატისტიკა.....3

პროექტული ანგარიშები.....*4*

გაერთიანება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ: ლგბტქი თემის წინააღმდეგ ძალადობის დაძლევა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში.....4

ლგბტქ+ თემის მედეგობის მშენებლობა საქართველოში.....4

ცხადი გონებით რთულ დროებაში..... 6

აივ-ისა და სხვა სგგი-ების პრევენცია მსმ და ტრანს* ახალი მიგრანტებს შორის საქართველოში, რომლებიც დაზარალდნენ უკრაინის ომის შედეგად..... 6

აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია და შემთხვევების გამოვლენა ლგბტქ+ თემში.....6

პრეექსპოზიციური პროფილაქტიკის (პრეპ) მომსახურება აივ ინფექცია/შიდსის მაღალი რისკის პოპულაციებში.....7

აივ ინფექცია/შიდსის საკვანძო პოპულაციებისთვის აივ-ზე თვითტესტირების მომსახურების და აივ პრევენციული პაკეტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მომსახურება.....8

ლგბტქ+ ადამიანების უფლებების გაუმჯობესება საქართველოში..... 9

საზღვრებს მიღმა (II ფაზა).....12

ურთიერთობების გადაფასება — ახალი შესაძლებლობები საქართველოში LGBTQI საკითხების გაშუქებისთვის.....13

საქართველოში ლგბტქ+ თემის მხარდაჭერა და გაძლიერება.....14

მიმდინარე პროექტების მოკლე აღწერა.....15

საერთაშორისო კონფერენციები..... 15

2024 წლის ერთიანი ორგანიზაციული სტატისტიკა

1.	სამოქმედო მიზანი	4
2.	თანამშრომელთა რაოდენობა	40
3.	რეგიონული სათემო ოფიცერი	5
4.	პროექტი	14
5.	აივ-ისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების პრევენციისთვის აუცილებელი საბაზისო საშუალებების პაკეტით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა	10 517
6.	აივ ინფექციაზე და სქესობრივი გზით გადამდებ სხვა ინფექციებზე (ვირუსული ჰეპატიტები (B და C) და სიფილისი) ნებაყოფლობითი კონსულტაციისა და ტესტირების სერვისით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა	6 581
7.	აივ-ის პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკის (PrEP) პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა	566
8.	ფსიქოლოგის და ფსიქიატრის კონსულტაცია და ფსიქოთერაპია	1340
9.	სოციალური მუშაკის მომსახურება	800
10.	იურისტის მომსახურება	257
11.	სტრატეგიული სამართალწარმოების საქმე	1

პროექტული ანგარიშები

გაერთიანება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ: ლგბტქი თემის წინააღმდეგ ძალადობის დაძლევა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში

დონორი	სტოუნვოლი (Stonewall)/გლობალური თანასწორობის ფონდი (GEF)
საანგარიშო პერიოდი	01.01.2024 – 31.12.2024
ბიუჯეტი	150 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტი ლგბტქ+ თემის მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, დანაშაულის პრევენციასა და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას ემსახურება. პროექტის ფარგლებში 2024 წელს სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა ან/და გენდერული გამოხატვის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ ცნობიერების ამაღლების ტრენინგები ჩატარდა. ***ტრენინგის მოდული მოიცავს:*** ● ლგბტქ+ სპეციფიკური ტერმინებისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ცნების განმარტებას; ● სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის/პოლიტიკისა და პრაქტიკის მიმოხილვას; ● სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების პროცესში არსებული გამოწვევებისა და მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას პროექტების ფარგლებში გადამზადდა 25 სოციალური მუშაკი, იურისტი და სხვადასხვა ლგბტქ+ ორგანიზაციის თანამშრომელი საქართველოს რეგიონებიდან.

ლგბტქ+ თემის მედეგობის მშენებლობა საქართველოში

დონორი	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
საანგარიშო პერიოდი	02.11.2023 – 02.11.2024
ბიუჯეტი	292 924 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	**პროექტის შედეგების ზოგადი მიმოხილვა** • სოციალური მუშაკის სერვისით ისარგებლა ***210-მა*** ბენეფიციარმა;

	• ფსიქიატრის და ფსიქოლოგის კონსულტაციით ისარგებლა ***96-მა*** ბენეფიციარმა; • ფსიქოლოგმა და ფსიქიატრმა სულ ჩაატარეს ***679*** კონსულტაცია; • ჩატარდა ***1*** ჯგუფური თერაპია და ***6*** სესია; • წყვილების თერაპიით ისარგებლა ***ერთმა*** წყვილმა. **ფონდების მოძიების სპეციალისტის მიღწევები** • წლის განმავლობაში განვიხილეთ ***32*** სხვადასხვა დონორის ***44*** საგრანტო განაცხადი; • ფონდების მოძიების სპეციალისტმა იმუშავა ***25*** სხვადასხვა დონორის ***35*** საგრანტო შეთავაზების მომზადებაზე; • ხელი მოეწერა ***11*** საგრანტო შეთანხმებას ***10*** სხვადასხვა დონორთან; • 2024 წლის მანძილზე ორგანიზაციას კომუნიკაცია ჰქონდა ***7*** ახალ დონორთან. **ორგანიზაციის ინსტიტუციური მედეგობისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების შემუშავება** **ეთიკის კოდექსი:** პროექტის ფარგლებში, 2024 წელს შეიქმნა შიდაორგანიზაციული ეთიკის კოდექსი სერვისის მიმწოდებლებისა და ბენეფიციარებისთვის. დოკუმენტი ადგენს ეთიკის სტანდარტებს, ამასთან, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ქმნის უკუკავშირის ჩარჩოს ბენეფიციარებისთვის. დოკუმენტის შექმნის პროცესში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები და პირისპირ ინტერვიუები. **ორგანიზაციული სტრატეგია:** 2024 წელს ორგანიზაციამ შეიმუშავა 2025-2027 წლების სტრატეგია. დოკუმენტი ფარავს ისეთ ორგანიზაციულ საკითხებს როგორიცაა — ორგანიზაციის მისია და ხედვა, ღირებულებები, სამიზნე ჯგუფები, მიზნები, ამოცანები და რელევანტური ინდიკატორები. **სტრატეგიული კომუნიკაციების დოკუმენტი:** 2024 წელს ორგანიზაციამ შეიმუშავა 2025-2027 წლების სტრატეგიული კომუნიკაციების სტრატეგიის დოკუმენტი. დოკუმენტი ფარავს ისეთ საკითხებს როგორიცაა — კომუნიკაციის მისია, ორგანიზაციის პოზიციონირება, სამიზნე ჯგუფები, პროგრამული მიმართულებები, კონტექსტის ანალიზი და სხვა. **ფონდების მოძიების სტრატეგია:** 2024 წელს ორგანიზაციამ შეიმუშავა ფონდების მოძიების სტრატეგიის დოკუმენტი, რაც შესაძლებელი გახდა USAID-ის პროგრამის Human and Institutional Capacity Development (HICD) მხარდაჭერით.

ცხადი გონებით რთულ დროებაში

დონორი	საფრანგეთის საელჩო საქართველოში
საანგარიშო პერიოდი	01.10.2024 – 31.12.2024
ბიუჯეტი	27 324 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	გაზრდილი პოლიტიკური წნეხის და სოციალური სირთულეების პირობებში, პროექტის მიზანს ლგბტქ+ თემის წევრებისთვის ფსიქოსოციალური დახმარების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. პროექტის ფარგლებში, პროფესიონალი ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების მიერ ***302*** სესია ჩატარდა, რამაც უზრუნველყო მნიშვნელოვანი ემოციური მხარდაჭერა თემის იმ წევრებისთვის, რომლებიც სისტემურ დისკრიმინაციას და მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს აწყდებიან.

აივ-ისა და სხვა სგგი-ების პრევენცია მსმ და ტრანს ახალი მიგრანტებს შორის საქართველოში, რომლებიც დაზარალდნენ უკრაინის ომის შედეგად*

დონორი	ევრაზიის ჯანმრთელობის, უფლებების, გენდერული და სექსუალური მრავალფეროვნების კოალიცია (ECOM)
საანგარიშო პერიოდი	01.01.2024 – 31.08.2024
ბიუჯეტი	19 793 ევროს ეკვივალენტი ლარში
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	სექსუალური ჯანმრთელობის, ზიანის შემცირების და შესაბამისი სერვისების შესახებ მომზადდა საინფორმაციო მასალები, რომლებიც ითარგმნება ინგლისურ, უკრაინულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. პროექტის ფარგლებში, აგრეთვე ჩატარდა შეხვედრა მსმ და ტრანს* მიგრანტ აქტივისტებთან, რომლებიც დაზარალდნენ უკრაინის ომის შედეგად. შეხვედრის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ ინფორმაცია საქართველოში ხელმისაწვდომ ისერვისების შესახებ და გაცნობოდნენ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და საკანონმდებლო კონტექსტსაც.

აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია და შემთხვევების გამოვლენა ლგბტქ+ თემში

დონორი	სერვისის მიმწოდებელი სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისთვის, აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight

	AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამა — ***საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება (GEO-C-NCDC)***
საანგარიშო პერიოდი	03.01.2024 – 19.02.2025 (მიმდინარე)
ბიუჯეტი	362 424 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის და შემთხვევების გამოვლენის მიზნით მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი აქტივობები განხორციელდა. ინფიცირებასთან დაკავშირებული რისკის შეფასებისა და მისი შემცირების ამოცანისთვის საჭირო კონსულტაციებმა, საინფორმაციო მასალების და პრევენციული საშუალებების მიწოდებამ ლგბტქ+ თემში ბენეფიციარები საბაზისო პრევენციული პაკეტით უზრუნველყო. პროექტის ფარგლებში სულ ***5 102*** სხვადასხვა აქტივობა განხორციელდა. ● ნებაყოფლობითი კონსულტაცია და აივ ინფექციასა და სქესობრივი გზით გადამდებ სხვა ინფექციებზე ტესტირება გაიარა ***3 628-მა*** ადამიანმა; ● სამედიცინო კონსულტაციით, ფსიქოკონსულტაციით და ფსიქოთერაპიით უზრუნველყოფილია ***201*** ბენეფიციარი; ● ჩატარდა საინფორმაციო და საგანმანათლებლო ხასიათის ***17*** შეხვედრა, რომლებსაც სულ ***300***-ზე მეტი ბენეფიციარი დაესწრო; ● თანასწორთა განათლების ინტერვენციის ფარგლებში მომზადდა ***100*** თანასწორი განმანათლებელი; ● პროექტის ფარგლებში გაიცა ***170 000***-ზე მეტი კონდომი და ***45 000*** -ზე მეტი ლუბრიკანტი

პრეექსპოზიციური პროფილაქტიკის (პრეპ) მომსახურება აივ ინფექცია/შიდსის მაღალი რისკის პოპულაციებში

დონორი	სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
საანგარიშო პერიოდი	01.01.2024 – 31.01.2025
ბიუჯეტი	268 960 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	**პროექტის შედეგების ზოგადი მიმოხილვა** ● აივ ინფექციის პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკის პროგრამაში ჩაერთო ***566*** ადამიანი (***487*** ადამიანი ჩაერთო პირველად, ხოლო ***79*** ადამიანი განმეორებით); ● B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაიტარა ***75*** ბენეფიციარმა; ● გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაიტარა ***76*** ადამიანმა; **ბენეფიციართა მხარდაჭერისთვის ჩატარებული აქტივობები:**

	საგანმანათლებლო ღონისძიებები: წლის განმავლობაში ჩატარდა 4 ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარებს გაუზიარეს ინფორმაცია პრეპისა და ორგანიზაციაში არსებული სხვა სერვისების შესახებ. **ბეჭდური საინფორმაციო მასალების გავრცელება:** წლის განმავლობაში მომზადდა 4 სახის საინფორმაციო მასალა (სულ 6 300 ერთეული), სადაც მოცემულია განმარტებები სიტუაციური და ყოველდღიური პრეპის შესახებ. **ციფრული საინფორმაციო მასალის შექმნა და გავრცელება:** 2024 წელს პრეპის შესახებ მომზადდა და სოციალური ქსელებით გავრცელდა 4 სახის ციფრული მასალა. **პაციენტთა სკოლები:** წლის განმავლობაში ექიმი-ინფექციონისტების ფასილიტაციით ჩატარდა პაციენტთა 6 სკოლა, სადაც პრეპის პროგრამაში ჩართულმა და ჩართვის სურვილის მქონე ბენეფიციარებმა მიიღეს ზოგადი ინფორმაცია პრეპის შესახებ.

აივ ინფექცია/შიდსის საკვანძო პოპულაციებისთვის აივ-ზე თვითტესტირების მომსახურების და აივ პრევენციული პაკეტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მომსახურება

დონორი	სერვისის მიმწოდებელი სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისთვის, აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამა — ***საქართველოში აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემების გაძლიერება (GEO-C-NCDC)***
საანგარიშო პერიოდი	01.01.2024 – 31.12.2024
ბიუჯეტი	169 000 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	• პლატფორმა Selftest.ge-ს და კომპანია „გლოვოს“ უფასო საკურიერო სერვისის გამოყენებით, პრევენციული საშუალებების ნაკრები მიეწოდა ***5249*** ბენეფიციარს; (პლატფორმაზე რეგისტრირებულ ადამიანთა საერთო რაოდენობა შეადგენს ***9112*** მომხმარებელს) • პლატფორმის საშუალებით სულ გაიცა ***2880*** ტესტი, ***84 575*** კონდომი და ***6386*** ლუბრიკანტი; • პროექტის ფარგლებში თვითტესტირების შესახებ მომზადდა ***3*** ანიმაციური ვიდეორგოლი;

	• აივ ინფექციის პრევენციის სხვადასხვა საშუალებების შესახებ მომზადდა ***8*** ციფრული ბანერი; • მომზადდა საინფორმაციო და სადისტრიბუციო მასალები: მაისურები, სტიკერები, ბუკლეტები 2024 წელს პროექტის ფარგლებში ჩატარდა ***2*** ღონისძიება: • სათემო ღონისძიება ქალაქგარეთ თემის ***80*** წევრის მონაწილეობით. მონაწილეები ორგანიზაციამ უზრუნველყო ტრანსპორტით, საკვებითა და შემეცნებით-გასართობი აქტივობებით. • 2 დეკემბერს შიდსის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით „თანასწორობის მოძრაობამ“ გამართა კონფერენცია, რომელიც შიდსთან დაკავშირებული სერვისებისა და უფლებრივი საკითხების განხილვას მიეძღვნა.

ლგბტქ+ ადამიანების უფლებების გაუმჯობესება საქართველოში

დონორი	შვედური ასოციაცია სექსუალური განათლებისთვის (RFSU)
საანგარიშო პერიოდი	01.01.2024 – 31.12.2024
ბიუჯეტი	388 433 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	**სამართლებრივი სერვისების მიმოხილვა** 2024 წელს “თანასწორობის მოძრაობის” სამართლებრივი სერვისით, როგორც სატელეფონო კონსულტაციის, ასევე პირადი ვიზიტით, ისარგებლა ***257***-მა ბენეფიციარმა. სულ აღრიცხული შემთხვევების რაოდენობა მოიცავდა ***139*** საქმეს, აქედან: • ***ძალადობა/მუქარა: 46*** • ***ოჯახში ძალადობა: 6*** • ***შრომის უფლების დარღვევა: 5*** 2024 წელს ორგანიზაციის იურისტების გუნდმა სტრატეგიული სამართალწარმოების საქმედ შეარჩია თ.კ-ს საქმე. 6 დეკემბერს თ.კ-მ „თანასწორობის მოძრაობას“ მიმართა და შეატყობინა, რომ 2024 წლის 29-30 ნოემბრის საღამოს, თბილისში, ბესიკის ქუჩის მიმდებარედ, როცა ის საპროტესტო აქციიდან ბრუნდებოდა, თავს დაესხნენ უცნობი პირები. თავდამსხმელები ატარებდნენ ნიღბებს და როგორც კი შეიტყვეს, რომ თ.კ. აქციაში მონაწილეობდა, დაუწყეს ფეხის ქვედა კიდურებში დარტყმა, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და უთხრეს, რომ სახლში

	დარჩენილიყო, რადგან, მათი სიტყვებით, „აქციებზე ამ დროს სიარული ქალის საქმე არ არის“. 2024 წლის 6 დეკემბერს თ.კ.მონმის სტატუსით გამოჰკითხეს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, მას ასევე ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა. თ.კ-მ გამოკითხვისას და ექსპერტიზისას ისარგებლა ადვოკატის სერვისით. ამჟამად საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნად მზადდება. **სოციალური მუშაკის მომსახურების მიმოხილვა** 2024 წელს სოციალური მუშაკის სერვისით ***158-მა*** ბენეფიციარმა ისარგებლა. ფსიქოლოგთან და ფსიქიატრთან ***95*** ბენეფიციარი გადამისამართდა. მიმდინარე წელს ბენეფიციარების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგ სახის საჭიროებები: • ფსიქოემოციური სირთულეები — დეპრესია, შფოთვა, პანიკური შეტევა, ემოციების მართვის სირთულე და სხვა; • ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები — ქრონიკული და/ან მძიმე დაავადებები, კვალიფიციურ და მეგობრულ ექიმებთან დაკავშირების საჭიროება, მედიკამენტების შეძენაში მხარდაჭერა და სხვა; • უფლებების დარღვევის სავარაუდო ფაქტები — ძალადობა ოჯახის წევრის და/ან პარტნიორის/ყოფილი პარტნიორის მიერ; • მუქარისა და შანტაჟის მცდელობა ან/და გამოცდილება; • შევიწროება და დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში; • შევიწროება საჯარო სივრცეში; • ჰომოფობიური და ტრანსფობიური დამოკიდებულებები და სხვა; • ,,ქამინგ აუთთან” დაკავშირებული ფსიქოემოციური და სოციალური სირთულეები; • საკუთარი იდენტობის მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები და სხვა; • ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემები, განსაკუთრებით ტრანს სპეციფიკურ საკითხებზე — ჰორმონული თერაპია, ექიმებთან საჭირო ვიზიტებზე თანხლება, მედიკამენტების გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; • განათლების ხელმისაწვდომობა — სახელმწიფო კოლეჯში უფასო სწავლისთვის საჭირო გამოცდებზე დარეგისტრირებასა და გამოცდისთვის მოსამზადებელ პროცესში ბენეფიციარების მხარდაჭერა; • დასაქმების სირთულეები — სამსახურის ძებნისთვის საჭირო საიტების გაცნობა, რეზიუმეს შედგენის სწავლება და შემდგომი ზედამხედველობა; • ბენეფიციარებისთვის მეგობრული დასაქმების ადგილების შესახებ ინფორმაციის გაზიარება; • მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები — ქვეყნიდან წასვლის შემთხვევაში საჭირო დოკუმენტების შესახებ ინფორმირება (ცნობა

	სერვისების მიღების შესახებ, ცნობა დაზარალებულად ცნობის შესახებ და სხვა); • მხარდამჭერი ქსელის მოძიების პროცესში დახმარება და სხვა; • უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ბენეფიციარების კონსულტაცია და საჭირო ორგანიზაციაში თუ სერვისებში გადამისამართება; • პარტნიორთან ურთიერთობის სირთულეები და წყვილის თერაპიაში ჩართვა; • მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება — ალკოჰოლი, მარიხუანა და სხვა ნივთიერებებზე დამოკიდებულება, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ხარისხისა და მოტივაციის შეფასება, ადიქტოლოგთან გადამისამართება და შემდგომი ზედამხედველობა; • საცხოვრებელთან დაკავშირებული სირთულეები — უსახლკარობა, ქირის გადახდის სირთულეები და სხვა; • სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღებაში დახმარება და სახელმწიფო პროგრამებში ჩართვაში მხარდაჭერა; **პროექტით გათვალისწინებული სხვა აქტივობების მიმოხილვა** პროექტის ფარგლებში დაფინანსდა ლგბტქ+ თემის წევრების ***3*** ინიციატივა, რაც მოიაზრებს რეგიონებში თემის გასაძლიერებლად შეხვედრების ჩატარებას, ასევე, თემის ***40*** წევრისთვის არტთერაპიის სესიების დაფინანსებას და ახალგაზრდა დიზაინერის მიერ შექმნილი გამოფენის ორგანიზებას. პროექტის ფარგლებში თემის 35-მა წევრმა მონაწილეობა მიიღო ***ქვიარ ჯანმრთელობის სკოლაში.*** საზაფხულო სკოლის მთავარი ამოცანა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების დონის ამაღლება იყო. ნოემბერში ორგანიზაციამ დაიწყო მცირე კვლევის განხორციელება თემის საჭიროებების გამოვლენის მიზნით ჯანმრთელობის, სოციალურ და იურიდიულ სერვისებთან მიმართებით. კვლევის შედეგები, ძირითადად, გაზიარდება ორგანიზაციის პარტნიორებთან და გამოყენებული იქნება სამუშაო პროცესში. კვლევა 2025 წლის თებერვალში იქნება მზად. პროექტის ფარგლებში ყოველკვირეულად იმართებოდა ***ქვიარ აკადემიის*** სესიები, რომლებსაც რეგულარულად თემის 20-25 წევრი ესწრებოდა. მონაწილეები საუბრობდნენ მათთვის აქტუალურ საკითხებზე და ჰქონდათ შესაძლებლობა, ემსჯელათ, როგორც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ისე თემის საჭიროებებზე. პროექტის ფარგლებში აივ დადებითი ქალების უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის შესახებ ბროშურა ითარგმნა.

საზღვრებს მიღმა (II ფაზა)

დონორი	სტოუნვოლი (Stonewall)/გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისი (FCDO)
საანგარიშო პერიოდი	17.01.2024 – 01.04.2025 (მიმდინარე; პროექტი დასრულდება 2027 წელს)
ბიუჯეტი	220 695 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტის მიზანია ლესბოსელი, ბისექსუალური და ტრანსგენდერი (LBT+) ადამიანების მხარდაჭერა და მათი უფლებების დაცვაზე ზრუნვა. პროექტი ადგილობრივ თემთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობით ხორციელდება. მთავარი ფოკუსი ანტი-გენდერულ მოძრაობებზე დროული და შესაბამისი რეაგირებაა. **პროექტის ამოცანები:** ● LBT+ თანასწორობის ხელშეწყობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა; ● ქვე-გრანტიორი არასამთავრობო ორგანიზაციების ხილვადობის და გავლენის ზრდა; ● პოლიტიკის განმსაზღვრელი იმ აქტორების რაოდენობის ზრდა, ვინც 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების სამოქმედო გეგმაში (SDG) LBT+ უფლებების ჩართვას მხარს უჭერს; ● ადგილობრივი აქტივისტების საქმიანობაში ინოვაციური მეთოდების ინტეგრაცია, რაც უზრუნველყოფს LBT+ პირების უფლებების დაცვას და გააძლიერებს ძალადობის პრევენციის მექანიზმებს **პროექტის შედეგების ზოგადი მიმოხილვა** ● პროექტის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე სათემო შეხვედრა; ● 2024 წლის დეკემბერში ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალებისთვის ჩატარდა გასვლითი შეხვედრა, რომლის ფარგლებში მენტალური ჯანმრთელობის, სტრეს მედეგობის და ნივთიერებების მოხმარების საკითხები განიხილეს; ● კიდევ ერთი გასვლითი შეხვედრა ჩატარდა კახეთში, ყვარელში, რომელსაც ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალები ესწრებოდნენ. სესიების ფარგლებში, განიხილეს პოლიტიკური ჰომოფობია, ლგბტქ+ საკითხების ინსტრუმენტალიზება და ამ საკითხებთან კავშირის მქონე კვლევებსაც გაეცნენ; ● პროექტის ფარგლებში, მომზადდა დოკუმენტური ფილმი საქართველოში ფემინიზმის ისტორიის განვითარების შესახებ

ურთიერთობების გადაფასება — ახალი შესაძლებლობები საქართველოში LGBTQI საკითხების გაშუქებისთვის

დონორი	ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)
საანგარიშო პერიოდი	01.01.2024 – 31.12.2024
ბიუჯეტი	30 000 დოლარის ეკვივალენტი ლარში
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	პროექტის მიზანია ლგბტქ+ საკითხების ინკლუზიური, ეთიკური და ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქების მხარდაჭერა. პროექტი მიემართებოდა ტრადიციულ და ციფრულ მედიაში ლგბტქ+ თემის შესახებ ფართოდ გავრცელებული არასწორი წარმოდგენების შეცვლას და ამ მიზნის მისაღწევად, ჟურნალისტები და ინფლუენსერები შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვა. **პროექტის შედეგების ზოგადი მიმოხილვა** ● 3-დღიანი ტრენინგი გაიმართა კახეთში, ყვარელში, სოციალური მედიის ***13*** ინფლუენსერისთვის. ტრენინგის ფარგლებში ლგბტქი თემთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ინკლუზიური ენა მასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები განიხილეს; ● კიდევ ერთი ტრენინგის ფარგლებში, რომელშიც ***14*** მედია საშუალების ***20*** ჟურნალისტი მონაწილეობდა ლგბტქი საკითხების გასაშუქებლად საჭირო უნარების შესახებ იმსჯელეს. სესიები მოიცავდა შემთხვევის ანალიზს, როლურ თამაშებს და კოლეგების მიერ გაშუქების შეფასებას, რამაც საბოლოოდ მონაწილეებს ეთიკურ გაშუქებასთან დაკავშირებით ცხადი წარმოდგენა შეუქმნა; ● ჩატარდა ონლაინ შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც, ***8*** მედია ორგანიზაციის წარმომადგენელმა „გამჭვირვალობის" და „ოჯახური ღირებულებების" შესახებ საკანონმდებლო წინადადებებით გამოწვეულ საფრთხეებზე იმსჯელეს. დისკუსიის ფარგლებში, ხაზი გაესვა მედიის როლს, რომელსაც შეუძლია ინფორმაციული გაშუქების გზით ლგბტქ+ უფლებების დაცვა უზრუნველყოს. ● ზემოჩამოთვლილ საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ***5*** მედია საშუალებასთან ჩატარდა დამატებითი საკოორდინაციო შეხვედრა. მონაწილეებმა განიხილეს აღნიშნული ინიციატივების გავლენა ადამიანის უფლებებზე და ხაზი გაუსვეს ეთიკურ, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის აუცილებლობას. ● საერთო ჯამში, პროექტის აქტივობებში ***40***-ზე მეტი მედია პროფესიონალი იყო ჩართული, რომლებმაც უფრო მყარი პროფესიული კავშირები შექმნეს, რამაც ხელი შეუწყო

	საქართველოში ლგბტქი საკითხების სამართლიან, ზუსტ და ინკლუზიურ მედია გაშუქებას.

საქართველოში ლგბტქ+ თემის მხარდაჭერა და გაძლიერება

დონორი	ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
საანგარიშო პერიოდი	01.01.2024 – 31.08.2024
ბიუჯეტი	249 908 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება ლგბტქ+ თემის მოწყვლადობისა და დაუცველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. ლგბტქ+ თემის წევრები და აქტივისტები, არამხოლოდ პირადად აწყდებიან ცრურწმენებსა და სტერეოტიპებზე დაფუძნებულ უარყოფით დამოკიდებულებას, ასევე უწევთ ლგბტქ+ თემის სხვა წევრების მხარდაჭერა და გაძლიერება, მათი საჭიროებებისა და წუხილების გაზიარება. პროექტის ფარგლებში, ,,თანასწორობის მოძრაობამ“ ლგბტქ+ თემის წევრების მხარდასაჭერად გასცა ფსიქო-სოციალური სერვისები, რაც გულისხმობს ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის მიერ ჩატარებულ ***357*** სესიას. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ლგბტქ+ აქტივისტებისთვის, სადაც მოწვეულ სპეციალისტთან ერთად ლგბტქ+ აქტივისტებმა მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე და სტრესმედეგობის განვითარების სტრატეგიებზე იმსჯელეს. შეხვედრაში ***18*** აქტივისტი მონაწილეობდა.

მიმდინარე პროექტების მოკლე აღწერა

„თანასწორობის მოძრაობამ" 2024 წელს კიდევ რამდენიმე ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში ლგბტქ+ თემის უფლებების დაცვას და თემის ხილვადობის ხელშეწყობას. ვინაიდან ზოგიერთი პროექტი საანგარიშო წლის ბოლოს დაიწყო, დეტალური აქტივობების შესახებ ანგარიშგება ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. ეს პროექტები სრულად იქნება ასახული 2025 წლის ყოველწლიურ ანგარიშში:

1. ***უფლებები და მედეგობა: ლგბტქ+ თემის გაძლიერება საქართველოში ინკლუზიური ცვლილებებისთვის*** – დაფინანსებულია AFEW International-ის და ევროკავშირის მიერ;
2. ***ქვიარ ტრავმა და მიგრაცია – ქვიარ სათემო ორგანიზაციების რეგიონული თანამშრომლობა უკეთესი სოციალური, ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურებისთვის*** – დაფინანსებულია RFSL Malmö-ს და შვედეთის ინსტიტუტის მიერ;
3. ***ქვიარ კონტექსტი: ახალი ხმები საქართველოდან და მის ფარგლებს გარეთ*** – დაფინანსებულია LGBT+ DK-ისა და New Democracy Fund-ის მიერ

საერთაშორისო კონფერენციები

პროექტით გათვალისწინებული აქტივობების გარდა, ორგანიზაციის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებში, რათა საქართველოში ლგბტქ+ ადამიანების უფლებების დაცვის საკითხი საერთაშორისო დისკუსიის ნაწილი იყოს. 2024 წელს „თანასწორობის მოძრაობის" თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ კონფერენციებში:

- AIDS 2024, აივ-ის 25-ე საერთაშორისო კონფერენცია – მიუნხენი, გერმანია
- ILGA-Europe-ის წლიური კონფერენცია 2024 – ბუქარესტი, რუმინეთი
- IGLYO-ს წევრთა წლიური კონფერენცია – ლიუბლიანა, სლოვენია
- დაგეგმილი მშობლობის საერთაშორისო ფედერაციის (IPPF EN) რეგიონული ფორუმი – ლისაბონი, პორტუგალია
- თანასწორი უფლებების კოალიციის კონფერენცია – ბერლინი, გერმანია